აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის
ანგარიში
2025 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

2026 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომიტეტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა.

წარმოდგენილია კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

2025 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრები,
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრები:

კომიტეტის თავმჯდომარე	**ფრიდონ ფუტკარაძე**
კომიტეტის წევრები:	**მარინე გვიანიძე**
	მინდია დიასამიძე
	ლაშა სირაბიძე
	არჩილ სამნიძე

კომიტეტის აპარატი:

აპარატის უფროსი	რუსუდან შავაძე
თავმჯდომარის თანაშემწე	გიორგი დავითაძე
უფროსი სპეციალისტი	ნაზი ჯინჭარაძე
უფროსი სპეციალისტი	ანზორ დუმბაძე
უფროსი სპეციალისტი	დავით წულუკიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს კანონშემოქმედებით და საზედამხედველო საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს აგრარული სექტორის განვითარებას, გარემოს დაცვის პოლიტიკის გაუმჯობესებასა და რეგიონში მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი ანგარიში ასახავს კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას, მიღწეულ შედეგებსა და დარგში არსებულ ძირითად გამოწვევებს. კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, ინსტიტუციურ კოორდინაციასა და საზოგადოების ჩართულობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე ზედამხედველობას.

თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის დებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულების შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი ემსახურება, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის დამკვიდრებას და მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას. კომიტეტი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპით და უზრუნველყოფს საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

2025 წლის განმავლობაში აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციებს. ასევე, თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობდა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს, განსაკუთრებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული დაწესებულებების (გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, სსიპ სატყეო სააგენტოს, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრისა და სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრის) საქმიანობას.

კომიტეტის ამოცანები და ფუნქციები

რეგიონის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობასთან მიახლოება/ჰარმონიზება და შემუშავება შემდეგი მიმართულებებით: სასურსათო უზრუნველყოფა, მიწის რესურსები, აგრარული განათლება და მეცნიერება, აგრო მომსახურებები და ფერმერებთან დაკავშირებული საკითხები; ეფექტიანი ზედამხედველობა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიათა განხორციელებაზე და კონტროლი კანონმდებლობის აღსრულებაზე; სამელიორაციო სისტემების განვითარება; ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა; სოფლის მეურნეობის სტაბილური ზრდა, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება; წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის: მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებულ მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა, კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტია. ასევე, საზოგადოებასთან/დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამასთან, დასახული მიზნების მიღწევისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

ეფექტიანი და კოორდინირებული საქმიანობისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 43[1] მუხლის შესაბამისად, კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმა. განსახორციელებელი მიზნები, ამოცანები და აქტივობები დაისახა 2025 წლის დასაწყისში. წინამდებარე ანგარიში დაეყრდნო მონიტორინგს სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულებაზე და მისი ანალიზის შედეგებს. საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2025 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომიტეტის მიერ მიღებული და დამტკიცებული 2026 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობა არის შემდეგი მიმართულებებით:

1. კანონშემოქმედებითი საქმიანობა;
2. საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება;
3. გარემოსდაცვითი და კლიმატური პოლიტიკა;
4. საზოგადოებრივი ჩართულობა;

5 . ინსტიტუციური გაძლიერება.

კომიტეტი წლის განმავლობაში მუდმივად უწევდა მონიტორინგს სამოქმედო გეგმის შესრულებას. წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმთა შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ ყველა აქტივობას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი.

სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განისაზღვრა აქტივობები და მათზე პასუხისმგებელი პირები. წლის გეგმით განსაზღვრული იყო 31 აქტივობა, რომელიც სრულად განხორციელდა.

თავი II

ზოგადი ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის

საანგარიშო პერიოდში აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში ჩატარდა 10 სხდომა უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ საკითხებზე. მათ შორის:

- კომიტეტის სხდომა - 7;
- კომიტეტის ერთობლივი სხდომა - 3.

სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 14 საკითხი:

- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი - 0;
- კანონპროექტი და დადგენილება - 7;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია -4;
- კომიტეტის სამოქმედო გეგმა - 1;
- კომიტეტის ანგარიში -1;
- კომიტეტის დებულება - 1.

აქედან:

კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან დაკავშირებით 6 საკითხი.

- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე შეიმუშავა და წარადგინა 7 სავალდებულო დასკვნა.
- კომიტეტის თავმჯდომარემ ფრიდონ ფუტკარაძემ მონაწილეობა მიიღო 13 შეხვედრა-ღონისძიებაში;
- კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 12 შეხვედრა-ღონისძიებაში;

კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა სავალდებულო დასკვნები უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ შემდეგ საკითხებზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/04, 21.02.2025).

2. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის განხილვა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიმოხილვა.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვა;

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვაზე

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოსული კორესპონდენციის და მასზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა - 152.

აქედან:

1. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციულ და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენცია - 13;

2. უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომიტეტებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენცია - 112;

3. კომიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების და მასზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა - 15;

4. მოქალაქეთა მიღების რაოდენობა - 12.

თავი III

კომიტეტის საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელება

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, დარგობრივად კი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო: კომიტეტის სხდომები, რომლებზეც მოსმენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის **დენის სალუქვაძის** 2025 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. **ჯემალ ნაკაშიძის** - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის, **რაულ თავართქილაძის** - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ, „აგროსერვის ცენტრი"-ს დირექტორის, **ჯუმბერ აბულაძის** - სსიპ სატყეო სააგენტოს უფროსის და **ლევან გორგილაძის** - სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორის ინფორმაციები,

შესაბამისი უწყებების მიერ 2024 წელს გაწეული და 2025 წელს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

თავი IV

კომიტეტის წევრების და კომიტეტის აპარატის თანამშრომლების შეხვედრები სამთავრობო სტრუქტურების და საზოგადოების წარმომადგენლებთან

კომიტეტის თავმჯდომარის ფრიდონ ფუტკარაძის შეხვედრები და ოფიციალური ვიზიტები-მივლინებები

1. 2025 წლის 14 თებერვალს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, უმაღლესი საბჭოს წევრებთან - ვახტანგ ბერიძესთან და მამუკა თურმანიძესთან, სოფლის მეურნეობის მინისტრთან - ზაზა შავაძესთან, საქართველოს პარლამენტის წევრთან - ანზორ ბოლქვაძესთან, ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, ამავე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების გაცნობა იყო.

2. 2025 წლის 20 თებერვალს ფრიდონ ფუტკარაძე, უმაღლესი საბჭოს წევრებთან ვახტანგ ბერიძესთან და მამუკა თურმანიძესთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, აჭარაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების მოსახლეობასთან გაცნობის მიზნით, გამართულ სამუშაო შეხვედრებს დაესწრო.

3. 2025 წლის 25 თებერვალს, ფრიდონ ფუტკარაძე, „შუახევის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, გადაუღებელი თოვლის შედეგად, გზების ინტენსიურად გაწმენდის სამუშაობის მიმდინარეობას გაეცნო.

4. ფრიდონ ფუტკარაძე, მამუკა თურმანიძე და ვახტანგ ბერიძე თურქეთის ქალაქ ორდუში შეხვდნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს და დაესწრნენ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ სოლო კონცერტს.

5. 2025 წლის 23 მაისს ფრიდონ ფუტკარაძე, განათლებისა და სპორტის მინისტრთან, მაია ხაჯიშვილთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლაში იმყოფებოდა. შეხვედრების ფარგლებში ისინი შეხვდნენ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის შუბნის საჯარო სკოლის პედაგოგებს და დაათვალიერეს რემოდელირებული სასკოლო ბიბლიოთეკა. პროგრამის ფარგლებში, რომელიც აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020

წლიდან მიმდინარეობს, ბიბლიოთეკა აღიჭურვა ახალი ავეჯითა და ტექნიკით, განახლდა წიგნადი ფონდი და შეიქმნა თანამედროვე სასწავლო სივრცე. იმავე დღეს უმაღლესი საბჭოს წევრმა, მინისტრმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს დაბა შუახევისა და ხიჭაურის საჯარო სკოლების რემოდელირებული ბიბლიოთეკები და რეაბილიტირებული სპორტული დარბაზები.

6. 2025 წლის 3 ივნისს ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებთან - დავით გაბაიძესთან და სულხან თამაზაშვილთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულში, საქართველოს ერთიანობისთვის თავგანწირული მამულიშვილის, სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ დღესასწაულს - „სელიმობა“-ს დაესწრო.

7. 2025 წლის 5 ივნისს ფრიდონ ფუტკარაძე, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან - ზაზა შავაძესთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსთან ელენე ღუბიანურთან, ხელისუფლების წარმომადგნლებთან და გარემოს დამცველებთან ერთად, აჭარის სსიპ სატყეო სააგენტოს ქობულეთის სატყეოს თიკერის უბანში, 100 ძირი ფიჭვი დარგვაში მიიღო მონაწილეობა.

8. 2025 წლის 20 ივნისს ფრიდონ ფუტკარაძე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების, ქალაქ ბათუმის საკრებულოში გამართულ ერთობლივ გასვლით სხდომას დაესწრო. სხდომაზე ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე, მოხსენებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე - ნინო თანდილაშვილი წარდგა.

9. 2025 წლის 12 ივლისს ფრიდონ ფუტკარაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრთან დენის სალუქვაძესთან, შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან ომარ ტაკიძესთან ერთად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეებს სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და სამომავლო ხედვებზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა - დენის სალუქვაძემ მიაწოდა ინფორმაცია და მუნიციპალიტეტში არსებულ მთავარ გამოწვევებზე დასმულ კითხვებს უპასუხა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის შუახევის საჩითილე და ვაზის სანერგე მეურნეობა. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ, მინისტრის მოადგილეები - არჩილ ბერიძე, ირმა აფხაზავა, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე და აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელები.

10. 2025 წლის 22 ივლისს ფრიდონ ფუტკარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრ ანზორ ბოლქვაძესთან ერთად, აჭარაში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ქვემო სილეზიის

დელეგაციას, ვიცე-მარშალ ნატალია გოლაბის ხელმძღვანელობით, აჭარასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში სტუმრობდა.

11. 2025 წლის 4 აგვისტოს, შუახევის მუნიციპალიტეტში ტრადიციული სახალხო დღესასწაული — „შუამთობა“ აღინიშნა, რომლის ფარგლებშიც ჩირუხში ოფიციალურად გაიხსნა ევროპაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინი. ღონისძიებას დაესწრო შუახევის დელეგატი აჭარის უმაღლეს საბჭოში, ფრიდონ ფუტკარაძე. მან მოსახლეობასა და სტუმრებს მიულოცა როგორც ტრადიციული დღესასწაული, ასევე ახალი ტურისტული პროექტის ამოქმედება. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

12. 2025 წლის 7 ნოემბერს, აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, შუახევის მუნიციპალიტეტს ორგანიზაცია „ატუმმა“ 200 ფრთა ადგილობრივი სახეობის კაკაბი გადასცა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ფრიდონ ფუტკარაძე, რომლის განცხადებით, კაკბები ჭვანისა და მარეთის ხეობებში ველურ ბუნებაში გაუშვეს, რაც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის გამდიდრებას. ღონისძიება განხორციელდა შუახევის მერიისა და აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს მხარდაჭერით.

13. 2025 წლის 20 ნოემბერს ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებთან და ქობულეთის მერთან ერთად დაესწრო ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებთან შეხვედრას, სადაც განხილული იქნა მეციტრუსეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები და სეზონის ორგანიზებულად ჩატარების საკითხები.

კომიტეტის წევრების შეხვედრები და ოფიციალური ვიზიტები

1. 2025 წლის 25 თებერვალს მამუკა თურმანიძე, ქედის მუნიციპალიტეტებში, უხვთოვლობის შედეგად გამოწვეულ პრობლემებს გაეცნო და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა.

2. 2025 წლის 5 მარტს ვახტანგ ბერიძე, ფატი ხალვაში და აპარატის წარმომადგენლები იაპონური კომპანია ''Digital Knowledge-ის“ და კომპანია „Vitaars-ის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

3. 2025 წლის 19 მარტს ვახტანგ ბერიძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან რამაზ ჯინჭარაძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, „საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის“ შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრო.

4. 2025 წლის 23 მარტს მარინე გვიანიძე, უმაღლესი საბჭოს წევრებთან - რამაზ ჯინჭარაძესთან, დავით ბაციკაძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პატივი მიაგეს ბათუმისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნას.

5. 2025 წლის 28 აპრილს მამუკა თურმანიძე და ვახტანგ ბერიძე, თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ორდუში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

კანონმდებლები, ჩვენებურებთან, ტრადიციულად ყოველ წელს ჩადიან, ესწრებიან კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე სხვადასხვა სფეროში.

6. 2025 წლის 02 მაისს მინდია დიასამიძე, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან - სულხან თამაზაშვილთან და ხელვაჩაურის მერთან - ზაზა დიასამიძესთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

7. 2025 წლის 08 მაისს მარინე გვიანიძე, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პრეზენტაციას დაესწრო.

8. 2025 წლის 23 მაისს ვახტანგ ბერიძე, ამაგდარის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 29 ადამიანის დაჯილდოებას დაესწრო.

9. 2025 წლის 27 ივნისს ვახტანგ ბერიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, საზაფხულო იალაღებზე იმყოფებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლები ნაჩადრევის მთასა და ბეშუმის იაილაში მყოფ მოსახლეობას შეხვდნენ და ადგილზე გაეცნენ მათ საჭიროებებს.

10. 2025 წლის 01 ივლისს ვახტანგ ბერიძე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, სოფელ იაკობაძეებში იმყოფებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი, თანამედროვე სტანდარტების ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა დაათვალიერა.

11. 2025 წლის 11 ივლისს ვახტანგ ბერიძე, ხულოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, ხულოს მერის მოვალეობის შემსრულებელთან - ჯამბულატ მელაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან - რენარ ბოლქვაძესთან ერთად გაეცნო.

12. 2025 წლის 24 ივლისს ვახტანგ ბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტში, მთა ჩუდურაულში, ტრადიციული სახალხო დღესასწაული - „შუამთობა"-ს დაესწრო.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი თავისი საქმიანობის მთავარ მიმართულებებად განსაზღვრავს კანონშემოქმედებითი პროცესის განვითარებას, საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებას, გარემოსდაცვითი და კლიმატური პოლიტიკის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ჩართულობის ზრდასა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

კომიტეტი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს დაკისრებული უფლებამოსილების ეფექტიან განხორციელებას, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს პროფესიონალი ექსპერტების ჩართულობას და აპარატის კვალიფიკაციის ამაღლებას.

კომიტეტის პრიორიტეტები ნათლად მიუთითებს მისი საქმიანობის სისტემურ და მიზანმიმართულ განვითარებაზე. დაგეგმილი ნაბიჯები ხელს შეუწყობს როგორც ეფექტიანი მართვის გაძლიერებას, ისე გარემოს დაცვისა და აგრარული სფეროს მდგრად პროგრესს.

კომიტეტის თავმჯდომარე
ფრიდონ ფუტკარაძე